საექსპერტო დასკვნა

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. №15-ში. კომპლექსი შედგება 4 ბლოკისაგან. წინამდებარე პროექტში დამუშავებულია მხოლოდ ორი: ბლოკი „A“, რომელიც შედგება სარდაფში განთავსებული ავტოფარეხისაგან , ერთი სავაჭრო და 15 საცხოვრებელი სართულისაგან. ბლოკი “B“ შედგება სარდაფისაგან, ერთი სავაჭრო და 2 საოფისე სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/კვ.მ.
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/კვ.მ.

ფარდობით ნიშნულს ±0,000 შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 410,80 მ.

საძირკვლის ფუძედ “A“ და “B“ ბლოკებში მიღებულია მუქიყავისფერი თიხა მყარპლასტიკური და რბილპლასტიკური კონსისტენციის სუსტად თაბაშირიანი, საანგარიშო წინაღობით Ro=2,5 კგძ/სმ^2.

საძირკვლის კონსტრუქციას “A“ და “B“ ბლოკებისათვის წარმოადგენს მონოლითური ფილა, სისქით შესაბამისად 100 და 60 სმ.

მზიდი კონსტრუქცია – “A“ ბლოკისთვის - რკინაბეტონის მონოლითური კარკასი: სვეტები (90X60; 60X80; 60X70; 60X60; 50X50; 50X50) სმ, რიგელები (50X60; 50X55; 40X55) სმ; მონოლითური დიაფრაგმები – სისქით 25 სმ. “B“ ბლოკისთვის - რკინაბეტონის მონოლითური კარკასი: სვეტები (40X40) სმ, რიგელები (40X45) სმ;

სართულშუა გადახურვა შესრულებულია რკ.ბ. მონოლითური ფილებით, სისქით: “A“ ბლოკში 18; 20; 22 სმ; “B“ ბლოკში - 16 სმ..

კარკასის შევსება წვრილი ბლოკით.

კიბის კონსტრუქცია – მონოლითური რკინაბეტონის.

სახურავი – ბრტყელი.

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე ექსპერტის მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია მთ. კონსტრუქტორის მიერ გათვალისწინებულია.

მთლიანობაში პროექტი შესრულებულია მაღალპროფესიულ დონეზე და შესაძლოა მისი წარდგენა მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

ექსპერტი – კონსტრუქტორი

ფ. კონტრიძე

დაკვ. 203/2007

ხელშეკრულება №203

ქ.თბილისი

2007 წლის 7 აგვისტო

ს.ს. „საქქალაქმშენპროექტი" შემდგომში შემსრულებლად წოდებული დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, ერთის მხრივ, რომელიც მოქმედებს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე და მეორეს მხრივ, შემდგომში "დამკვეთად" წოდებული, ს.ს. „ინდუსტრია - 21", მისი დირექტორის თემურ ჯაფარიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი თავის თავზე იღებს, ჩაატაროს ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. №15-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „A" და „B" ბლოკების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.
2. სამუშაოს ჩაბარების ვადა - 2007 წლის 8 აგვისტო.
3. დამუშავებული პროდუქციისათვის დამკვეთი გადაურიცხავს შემსრულებელს 525 (ხუთასოცდახუთი) ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.
4. ანგარიშსწორება წარმოებს მხარეთა შეთანხმების თანახმად ერთდროულად სამუშაოს დასრულებისას.
5. სამუშაოს დასრულებისას შემსრულებელი წარუდგენს დამკვეთს პროდუქციის ჩაბარება-მიღების აქტს.
6. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში შემსრულებელი და დამკვეთი ქონებრივად აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ხელშეკრულება ძალაშია დამკვეთის მიერ ხელის მოწერის დღიდან საბოლოო ანგარიშსწორებამდე.
8. შემსრულებლის მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშია – თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №74. საიდენტიფიკაციო კოდი №204851124; „საქართველოს სახალხო ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ა/ა №36050011, კოდი 220101480.
9. დამკვეთის მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშია – ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №15, საიდენტიფიკაციო კოდი 208140224, „საქართველოს ბანკის"ცენტრალური ფილიალი, ა/ა №008609101.

ს.ს. „საქქალაქმშენპროექტი"-ს
დირექტორი
ბ. მირიანაშვილი
"____" _____ 2007 წ.
ბ.ა.

ს.ს. „ინდუსტრია – 21"-ის
დირექტორი
თ. ჯაფარიძე
"7" აგვისტო 2007 წ.
ბ.ა.

დაკვ. 203/2007

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი

2007 წლის 8 აგვისტო

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ ს.ს. "საქქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო ს.ს. „ინდუსტრია - 21"-ის დირექტორმა თ. ჯაფარიძემ ჩაიბარა 2007 წ. 7 აგვისტოს №203 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია – ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. №15-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „A" და „B" ბლოკების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. ჩაბარებული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 525 (ხუთასოცდახუთი) ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

სამუშაო ჩააბარა :

ბ. მირიანაშვილი

"____" _____ 2007 წ.

ბ.ა.

სამუშაო ჩაიბარა :

თ. ჯაფარიძე

"8" აგვისტო 2007 წ.

ბ.ა.

სს "საქსაკალაქმშენპროექტი"
სააქციო საზოგადოება
საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი
სქმპ

სსდ-179

8 აგვისტო 2007 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ფელიქს კონტრიძეს მასზედ, რომ იგი ნამდვილად მუშაობს სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენპროექტში" 1956 წლიდან დღემდე და 1997 წლიდან ატარებს კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო სამუშაოებს.

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 74 0162 თბილისი საქართველო
JSC "Sakkalakmshenproekti"
(The Georgian Design Institute of Regional & Urban Planning)
74 Ilia Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi Georgia
АО "Саккалакмшенпроекти"
(Проектный институт Грузии по градостроительству и территориальной планировке)
Грузия 0162 Тбилиси пр И.Чавчавадзе 74
Tel: (995 32) 22 69 58 ; Fax: (995 32) 22 59 58 ; E-Mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი:	**ფელიქს კონტრიძე**
დაბადების თარიღი:	25 აპრილი, 1932 წ.
დაბადების ადგილი:	საქართველო, თბილისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა:	ქვრივი
შვილები:	ქალიშვილი
სახლის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0171, ს. ჩიქოვანის № 20, ბინა 7
	ტელეფონი: (995 32) 33 31 60;
	მობილური: (99599) 97 53 68
სამსახურის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74 ტელეფონი: (995 32) 23 56 69

განათლება:

1951-56 წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობა – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

პროფესიული გამოცდილება:

1956 წლიდან დღემდე - სს „საქქალაქმშენპროექტი“ - ინჟინერ-კონსტრუქტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის მთ. ინჟინერი, არქიტექტურული სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი, არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი, საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი.

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- არდაგანის საცხოვრებელი კომპლექსი ბორჯომსა და სოხუმში;
- კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი ბორჯომში;
- პანსიონატი 250 ადგილზე გუდაუთაში;
- პანსიონატი 500 ადგილზე ბიჭვინთაში;
- კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი სახლი ბიჭვინთაში;
- გამომცემლობა „პრავდის“ დასასვენებელი სახლი ბიჭვინთაში;
- სამთავრობო დასასვენებელი აგარაკი მიუსერაში;
- პანსიონატი 300 ადგილზე სოხუმში;
- სახელმწიფო კანცელარიის რეკონსტრუქცია;
- სამხედრო კომისარიატი რუსთავში;
- ზესტაფონის რაიონული საავადმყოფო;
- მესტიის რაიონული საავადმყოფო;
- სასამართლო ყაზბეგში;
- სასამართლო ბორჯომში;
- ავტოსადგურები ახალციხეში, სოხუმში, ოზურგეთში, გაგრაში;
- პროფკავშირთა კულტურის სახლი;
- ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია.
- ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება;
- ქ. ბორჯომში მდ. ბორჯომულას საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრება.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Microsoft Office, Internet